ა(ა)იპ "საქართველოს რაგბის კავშირი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშო წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 3

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 6

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 7

დადებით სალდოში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 8

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 9

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1. ზოგადი ინფორმაცია 10
2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა 10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები 19
4. ძირითადი საშუალებები 20
5. არამატერიალური აქტივები 20
6. მარაგები 21
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები 21
9. მიღებული სესხები 21
10. გადავადებული შემოსავალი 22
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 22
12. შემოსავლები 23
13. საოპერაციო ხარჯები 23
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 23
15. ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტო 24
16. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან 24
17. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა 24
18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 27
19. პირობითი ვალდებულებები 27
20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27

T: +995 32 254 58 45
T: +995 32 218 81 88
@ bdo@bdo.ge
www.bdo.ge

ი.თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0179 თბილისი
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“ ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებულ დადებით სალდოში ცვლილების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი საარიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რომელსაც ახდენს პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხები, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც ეს აღნიშნულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში, ძირითადი საშუალებების ჯგუფები მიწა და შენობა-ნაგებობები მოიცავს სახელმწიფოსგან აღნაგობის და უზუფრუქტის უფლებით უსასყიდლოდ მიღებულ აქტივებს. მოცემული აქტივები აღიარებულია ძირითად საშუალებებად, ხოლო სახელმწიფოსგან უზუფრუქტით და აღნაგობის უფლებით უსასყიდლოდ მიღებული აქტივების ღირებულების ნაწილი აღიარებულია გადავადებულ შემოსავლის სახით. აღნიშნული მიწების სარგებლობის უფლება უნდა აღიარებულიყო არამატერიალურ აქტივად ძირითადი საშუალებების ნაცვლად. ჩვენ არ მოგვეცა საშუალება შეგვემოწმებინა, იყო თუ არა განსაზღვრული აღნიშნული აქტივების რეალური ღირებულება ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ თანხებთან მიმართებაში, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებულ დადებით სალდოში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც ეს აღნიშნულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში, ძირითადი საშუალებების ჯგუფები მოიცავს მიწებს, რომელზეც მესამე მხარის მიერ უსასყიდლოდ აშენებულია სარაგბო სტადიონები. აშენებული აქტივები ჯგუფისთვის არ არის გადმოცემული და არ არის აღრიცხული ძირითად საშუალებებში, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯგუფს აქვს შეუზღუდავი წვდომა ინფრასტრუქტურაზე. შედეგად ჯგუფის ძირითადი საშუალებების ღირებულება არ არის აღრიცხული და წარდგენილი ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები აღნიშნულ აქტივებთან მიმართებაში, ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის, კონსოლიდირებულ დადებით სალდოში ცვლილებებისა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შემადგენელ ელემენტებთან დაკავშირებით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ჩვენ ვართ ჯგუფისგან დამოუკიდებლები, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გაწზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე

ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტციცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტიცებულებას ჯგუფის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილ მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

ივანე ჟუჟუნაშვილი

შპს „ბიდიოს“ სახელით

თბილისი, საქართველო

10 მაისი, 2018

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	12.31.2017	12.31.2016
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	24,480,204	24,589,286
არამატერიალური აქტივები	5	258,927	313,988
სულ გრძელვადიანი აქტივები		24,739,131	24,903,274
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	6	197,152	130,026
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	1,074,126	1,062,757
საგადასახადო აქტივი		-	25,034
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	67,299	1,010,189
სულ მიმდინარე აქტივები		1,338,577	2,228,006
სულ აქტივები		26,077,708	27,131,280
ვალდებულებები და დადებითი სალდო			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	9	340,360	698,195
გადავადებული შემოსავალი	10	9,330,398	9,375,034
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		9,670,758	10,073,229
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვადებულებები		407,671	-
მიღებული სესხები	9	1,096,685	85,795
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,821,664	833,693
გადავადებული შემოსავალი	10	44,636	44,636
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,370,656	964,124
დადებითი სალდო		13,036,294	16,093,927
სულ ვალდებულებები და დადებითი სალდო		26,077,708	27,131,280

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2018 წლის 10 მაისს შემდეგი პირების მიერ:

პრეზიდენტი _____ გოჩა სვანიძე

საფინანსო კომიტეტის უფროსი _____ ნანა ღარიბაშვილი

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
შემოსავლები	12	21,936,577	13,556,692
სხვა შემოსავლები	4	-	566,202
სულ მიღებული შემოსავლები		**21,936,577**	**14,122,894**
გაწეული ხარჯები			
საოპერაციო ხარჯები	13	(21,385,030)	(11,883,501)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,446,252)	(2,223,299)
ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტო	15	(36,167)	(29,487)
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	16	(126,761)	(866,986)
სულ გაწეული ხარჯები		**(24,994,210)**	**(15,003,273)**
დეფიციტი და სრული ზარალი წლის განმავლობაში		**(3,057,633)**	**(880,379)**

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

დადებით სალდოში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

	დადებითი სალდო
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,974,306**
დეფიციტი და სრული ზარალი წლის განმავლობაში	(880,379)
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**16,093,927**
დეფიციტი და სრული ზარალი წლის განმავლობაში	(3,057,633)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**13,036,294**

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
სახელმწიფოსგან მიღებული მიზნობრივი დაფინანსება		13,405,290	8,560,459
საერთაშორის ფონდებიგან მიღებული გრანტები		5,448,769	2,988,775
სპონსორებიდან მიღებული დაფინანსება		1,623,570	1,290,353
ბილეთების რეალიზაციდან მიღებული ფულადი სახსრები		892,510	339,224
კლუბებისგან მიღებული ტურნირებში მონაწილების სალიცენზიო და საშეჯიბრო ფულადი სახსრები		124,424	127,932
შემოსავალი მარტყოფის ბაზიდან		115,810	-
სარაგბო ინვენტარის რეალიზაცია		48,795	68,224
სხვა დაფინანსება		277,409	181,725
დასაქმებულებზე და მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები		(22,183,380)	(13,333,429)
გადახდილი პროცენტი		(40,844)	(35,293)
წმინდა ფულადი ნაკადები საპერაციო საქმიანობიდან		**(287,647)**	**187,970**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,250,015)	(1,034,499)
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(99,152)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		-	566,202
მიღებული პროცენტი		5,933	9,398
გაცემული სესხები		(28,820)	(47,107)
გაცემული სესხების მიღება		5,281	27,412
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(1,267,621)**	**(577,746)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
სესხების მიღება		978,247	644,160
სესხების დაფარვა		(343,131)	(12,677)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**635,116**	**631,483**
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა		**(920,152)**	**241,707**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	8	**1,010,189**	**826,387**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	16	(22,738)	(57,905)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	8	**67,299**	**1,010,189**

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირის“ (შემდგომში „კავშირი“) საქმიანობის ძირითადი მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში. კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საქართველოს პირველობების და სხვა ტრადიციული შეჯიბრებების სათანადო დონეზე ჩატარება; ეროვნული ნაკრების გუნდების მომზადება და რაგბის მწვრთნელთა, მსაჯთა და მოთამაშეთა პროფესიული დონის ამაღლებისათვის პირობების შექმნა.

კავშირის გამგეობის 2008 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებით 100% წილის ფლობით დაფუძნდა შვილობილი კომპანია შპს ქართული რაგბი, რომელიც ორიენტირებულია სარაგბო ეკიპირების რეალიზაციაზე. ასევე კავშირი ფლობს 20%-იან წილს რაგბის განვითარების ჯგუფში.

კავშირის დამფუძნებლები არიან:

- შპს ყოჩები
- საზოგადოებრივი ორგანიზაცია რაგბის კლუბი უნივერსიტეტი
- შპს გუმარი
- ქორიძის სახელობის საზოგადოებრივი ორგანიზაცია ხულიგანა
- ქ. თბილისის განათლების სამმართველოს სპორტული გაერთიანების რაგბის ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზირებული სკოლა ლელო.

საქართველოს რაგბის კავშირის და მისი შვილობილი კომპნიის შპს ქართული რაგბის (შემდგომში „ჯგუფი“) იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, №49ა.

კავშირის ხელმძღვანელი ორგანოებია: კავშირის საერთო კრება და კავშირის გამგეობა. მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს კავშირის საერთო კრება. გამგეობა ასრულებს კავშირის მართვის ფუნქციებს და ახორციელებს ზედამხედველობას პრეზიდენტის მიერ კავშირის საერთო კრების, გამგეობის გადაწყვეტილებისა და წესდების მოთხოვნათა შესრულებაზე.
უმაღლესი აღმასრულებელი და წარმომადგენლობით პირი არის კავშირის პრეზიდენტი გოჩა სვანიძე.

2017 წელს საქართველომ უმასპინძლა მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატს, რომელიც მიმდინარეობდა 2017 წლის 31 მაისიდან 18 ივნისის ჩათვლით.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ჯგუფი საბუღალტრო ჩანაწერებს და ჟურნალებს აწარმოებს ლარში საქართველოში საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების წესის თანახმად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საბუღალტრო ჩანაწერების მიხედვით, რომელიც შესაბამისად კორექტირებული და რეკლასიფიცირებულია ფასს–ების მიხედვით საიმედო წარდგენისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არის საწარმოები, მათ შორის სტრუქტურიზებული ერთეულები, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი რადგან (1) აქვს უფლებამოსილება წარმართოს ინვესტირებული საწარმოს საქმიანობები, რომელიც მნიშნელოვან გავლენას ახდენს მის შემოსავლიანობაზე, (2) აქვს საშუალება და უფლება შეცვალოს ინვესტირებული საწარმოს შემოსავლიანობა მოცემულ საწარმოში მისი მონაწილეობით და (3) აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს მისი ძალაუფლება ინვესტირებულ საწარმოზე და გავლენა მოახდინოს ინვესტორის მომგებიანობაზე. როდესაც ხდება შეფასება აქვს თუ არა ჯგუფს კონტროლი მის ინვესტირებულ კომპანიაზე, გაითვალისწინება მნიშნელოვანი უფლებების არსებობა, მათ შორის მნიშვნელოვანი პოტენციური ხმის უფლებების ფლობა. ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი უფლება ინვესტირებულ საწარმოზე, როდესაც მას აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა გამოიყენოს იგი შვილობილი საწარმოს საქმიანობების მიმართულების განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჯგუფს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ინვესტირებულ საწარმოზე მაშინაც, როდესაც იგი ფლობს ხმის უფლებების უმრავლესობაზე ნაკლებს.

არამაკონტროლებელი წილი არის შვილობილი ჯგუფის საქმიანობის წმინდა შედეგების და წმინდა კაპიტალის ნაწილი, რომელსაც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ფლობს დედა კომპანია. არამაკონტროლებელი წილი წარმოადგენს ჯგუფის კაპიტალის ცალკე კომპონენტს.

არამაკონტროლებელი წილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შეფასებულია ინვესტირებული საწარმოს წმინდა აქტივების პროპორციული წილით.

შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციების შედეგები და ნაშთები, ასევე შიდაჯგუფური ტრანზაქციებით წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ელიმინირდება კონსოლიდაციის მიზნებისთვის.

ა(ა)იპ „საქართველოს რაგბის კავშირი“ და მისი შვილობილი კომპანია შპს ქართული რაგბი იყენებენ ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კავშირი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანაგრიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ჯგუფი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. ჯგუფის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ჯგუფისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ახალი ფასების მიღება

ა) 2017 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები, და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული 2016 წლის 1 იანვრისათვის:

ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან. 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორიცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოდის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

კომპანიის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები - ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების აღიარების, კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. ის ჩაანაცვლებს ბასს 39-ს, რომელიც უკავშირდება ფინანსური ინსტრუქციების კლასიფიკაციას და გაზომვას.

ფასს 9 ინარჩუნებს, მაგრამ ამარტივებს შერეულ გაზომვის მოდელს და აწესებს სამ ძირითად გაზომვის კატეგორიას ფინანსური აქტივებისთვის: ამორტიზებადი ღირებულება, რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში და რეალური ღირებულება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების კლასიფიცირება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს-მოდელსა და ფინანსური აქტივების საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებზე. ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში იზომება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების რეტროსპექიული ცვლილებები სხვა სრულ შემოსავლაში. ფასს 9-ში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება და იზომება, გარდა საკრედიტო რისკის ცვლილების აღიარებისა სხვა სრულ შემოსავალში, რომელიც უკავშირდება იმ ვალდებულებებს, რომელიც აისახება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში.

ფასს 9-ში შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უკეთესად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის ზემოქმედების ჰეჯირებისას კომპანიის რისკის მართვის ზომების ხასიათს. ფასს 9 კომპანიას სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინტრუმენტებად. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე, აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. გაზრდილია მოთხოვნები კომპანიის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კომპანია აფასებს მომავალში ფასს 9-ის გამოყენების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 16 იჯარა - ფასს 16 იჯარა ჩაანაცვლებს არსებული იჯარის აღრიცხვის შემდეგ მეთოდურ მითითებებს: ბასს 17 ლიზინგი, IFRIC 4 განვსაზღვროთ. შეიცავს თუ არა ხელშეკრულება იჯარას, SIC-15 საოპერაციო იჯარა - სტიმულირება და SIC-27 გარიგების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას. იგი აუქმებს მოიჯარეთათვის არსებულ დღევანდელ ორმაგ სააღრიცხვო პრინციპს, რომელიც განასხვავებს ბალანსზე აღრიცხულ ფინანსურ ლიზინგს და ბალანსზე აღურიცხავ საოპერაციო ლიზინგს. სანაცვლოდ, რჩება ერთი ბალანსზე აღრიცხვის მოდელი, რომელიც ჰგავს დღევანდელ ფინანსური ლიზინგის აღრიცხვის პრინციპს. იჯარით გამცემის აღრიცხვის პრინციპები არსებული პრაქტიკის შესაბამისი რჩება - ე.ი. იჯარით გამცემი განაგრძობს ლიზინგის კლასიფიკაციას ფინანსურ და საოპერაციო იჯარებად.

ფასს 16 მოქმედებს ყოველწლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ. მისი ვადაზე ადრე მიღება დაშვებულია, თუ ამავდროულად მიღებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებელთან არსებული კონტრაქტებიდან. კომპანია არ გეგმავს ამ სტანდარტის ადრე დანერგვას.

კომპანია აფასებს მომავალში ფასს 16-ის გამოყენების მოსალოდნელ გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

ოპერაციებში ჯგუფი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ჯგუფის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ჯგუფი იყენებს ქართულ ლარს.

ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება ბასს 21–ს „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნის შესაბამისად.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვალდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული რეალური ღირებულებით გადაანგარიშდება რეალური ღირებულების დადგენის დღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044	3.5005
კურსი 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6468	2.7940	3.2579

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები

შეფასების ძირითადი ტერმინები

ფინანსური ინსტუმენტები მათი კლასიფიკაციის მიხედვით წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, როგორც ქვემოთაა აღწერილი:

რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულებების გადაცემისას ჩვეულებრივი ოპერაციისას ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის. რეალური ღირებულება არის მიმდინარე შეთავაზებული ღირებულება ფინანსური აქტივებისათვის ან მიმდინარე მოთხოვნილი ფასი ფინანსური ვალდებულებებისათვის, რომლებიც კოტირებულია აქტიურ ბაზრებზე. ფინანსური ინსტრუმენტი განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე კოტირებული თუ კოტირებული ფასები შესაძლებელია ადვილად და რეგულარულად მივიღოთ გაცვლით ან სხვა გზით და წარმოადგენს ფაქტიურ ფასს რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო ოპერაციებზე გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

თვითღირებულება არის გადახდილი ფული ან ფულის ექვივალენტი, ან უშუალოდ შეძენის მომენტისთვის აქტივის შესაძენად გაწეული სხვა დანახარჯის რეალური ღირებულება, რაც მოიცავს ოპერაციის დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება არის ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველად აღიარებულ ოდენობას გამოკლებული ძირის გადახდები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივებისთვის აღნიშნულ ოდენობას აკლდება, ასევე, გაუფასურების ზარალი. დარიცხული პროცენტი მოიცავს ტრანზაქციის ღირებულების ამორტიზაციას, რომელიც გადავადებული იქნა თავდაპირველი აღიარებისას და სხვა ნებისმიერ ზედმეტ ან ნაკლებ გადასახადს ვადის შესაბამისად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი არ არის ცალკე წარმოდგენილი და შედის შესაბამისი საბალანსო მუხლის ღირებულებაში.

ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს დამატებით ხარჯებს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გაცემას ან გასხვისებას. დამატებითი ხარჯია ისეთი ხარჯი, რომელიც არ იქნებოდა გაწეული თუ ტრანზაქცია არ განხორციელდებოდა. ტრანზაქციის ხარჯი მოიცავს გასამრჯელოებსა და საკომისიოებს, რომლებსაც უხდიან აგენტებს (მათ შორის თანამშრომლებს, რომლებიც მოქმედებენ როგორც გაყიდვების აგენტები), მრჩევლებს, ბროკერებსა და დილერებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟის მიერ დაწესებულ ბეგარას, სატრანსფერო გადასახდსა და ვალდებულებებს.

ტრანზაქციის ხარჯი არ მოიცავს სესხის დისკონტსა თუ ფასნამატს, დაფინანსების ხარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ ან შენახვის ხარჯებს.

ა) ფინანსური აქტივები

ჯგუფი განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. ჯგუფი არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზრებზე. ჯგუფი მათ თავდაპირველ აღიარებას ახდენს რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებსა და სპონსორებისგან მისაღებ თანხებს.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წარმოადგენს აქტივთა ჯგუფს, რომლის კონვერტირებაც შესაძლებელია წინასწარ განსაზღვრული ღირებულებით და უმნიშვნელო რისკის მატარებელია ღირებულების ცვლილებების თვალსაზრისით. ჯგუფის ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით. ფულადი სახსრები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, გამოირიცხება აღნიშნული აქტივების ჯგუფიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

გაუფასურებით მიღებული ზარალი ტარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათი წარმოქმნისას ერთი ან მეტი გარემოების („ზარალის შემთხვევა“) დადგომის შემთხვევაში, რაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ ხდება და რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის ან მათი ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფინანსური ნაკადების დროსა და ვადიანობაზე, რისი სანდო განსაზღვრაც შესაძლებელია. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს ობიექტური დასაბუთება ცალკე შეფასებული ფინანსური აქტივის მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო გაუფასურების თაობაზე, ის ამ აქტივს აერთიანებს მსგავსი საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ის კოლექტიურად ფასდება გაუფასურების ობიექტზე. ძირითადად ჯგუფი განიხილავს ისეთ ფაქტორებს ფინანსური აქტივის გაუფასურებაზე, როგორიცაა მისი ვადიანობის გასვლა და არსებობის შემთხვევაში მისი უზრუნველყოფის რეალიზაციის პოტენციალი.

გაუფასურების კოლექტიური შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივი ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები მნიშვნელოვანია ჯგუფების სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადების დასათვლელად. გაუფასურებასთან მიმართებაში კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად.

ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ ასებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება იმგვარ მონაცემებს, როგორებიცა გადახდისუნარიანობა და სხვა. სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგიის და დაშვებების გადახედვა ხდება რეგულარულად,

განსაზღვრულ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით. თუ ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები დაექვემდებარება ხელახალ მოლაპარაკებებს ან შეიცვლება ფინანსური სირთულეების მიზეზით, გაუფასურება იზომება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით პირობების ცვლილებამდე.

თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ხარჯი დაიკლებს და ეს კლება ხდება გაუფასურების ხარჯის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, თავდაპირველად აღიარებული გაუფასურების დანაკარგი სწორდება მოგება ან ზარალის შესაბამისი ანგარიშის კორექტირებით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც: ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან ბ) ჯგუფი გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს. კონტროლი შენარჩუნებულია, თუ კონტრაგენტს არ აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, მიჰყიდოს აქტივი დამოუკიდებელ მესამე მხარეს ამგვარ გაყიდვის ოპერაციაზე დამატებითი შეზღუდვების არსებობის გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით. ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთგადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებებისა ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლი მომსახურების ვადა (წელი)
მიწის ნაკვეთები	ცვეთა არ ერიცხება
დაუმთავრებელი მშენებლობა	ცვეთა არ ერიცხება
შენობა-ნაგებობები	50
კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	5-8
ავტომანქანები	10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-10

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალაურად.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივები

ჯგუფის არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია კომპიუტერული პროგრამების სახით. ისინი აღირიცხება თვითღირებულების და აკუმულირებული ამორტიზაციის სხვაობის თანხით. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, სისტემატურ საფუძველზე, წრფივი მეთოდით.

მარაგები

ჯგუფის მარაგებს წარმოადგენს სარაგბო ინვენტარს, სარაგბო ეკიპირებას და სხვა მასალებს.

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეზალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

მიღებული გრანტი

გრანტი არის გრანტის გამცემის მიერ გაწეული დახმარება საწარმოსთვის რესურსების გადაცემის სახით, საწარმოს სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული წარსულში შესრულებული ან მომავალში შესასრულებელი გარკვეული პირობების სანაცვლოდ. გრანტში არ იგულისხმება ისეთი ტიპის დახმარებები, რომელთა ღირებულების დასაბუთებული განსაზღვრა შეუძლებელია, აგრეთვე ისეთი გარიგებები, რომლებიც არ განსხვავდება საწარმოს ჩვეულებრივი კომერციული გარიგებებისაგან.

გრანტის აღიარება ხდება მაშინ როდესაც საწარმოს ექნება იმის დამაჯერებელი რწმუნება, რომ დააკმაყოფილებს გრანტის პირობებს და გრანტს აუცილებლად მიიღებს. აქტივებთან დაკავშირებული გრანტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრანტის გადავადებული შემოსავლის სახით აღიარებით. გადავადებული შემოსავლი აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სისტემატურ და რაციონალურ საფუძველზე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

დაბეგვრა

ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირი წარმოადგენს არაკომერციულ ორგანიზაციას, მისი საქმიანობაც არაკომერციული ხასიათის ატარებს. კავშირს აქვს ვალდებულება დააკავოს და სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხოს საშემოსავლო გადასახადი თანამშრომელთა ხელფასიდან.

კავშირი დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაციებიდან შეძენილ საქონელსა დამომსახურებაზე იხდის დღგ-ს თანხას, თუმცა არ ახორციელებს მის უკან დაბრუნებას ან სხვა გადასახადებში ჩათვლას და გადახდილ გადასახადს აღიარებს ხარჯად, გარდა საკუთარი შემოსავლების ფარგლებში განხორციელებული შესყიდვებისა.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი იჯარას აკლასიფიცირებს საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. საიჯარო გადასახდელებს და შემოსავლებს ჯგუფი აღიარებს საიჯარო ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდის მიხედვით.

მიზნობრივი სახელმწიფო დაფინანსების შემოსავლის აღიარება

მიზნობრივი სახელმწიფო დაფინანსებიდან შემოსავალი აღიარდება, როცა შეუძლია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან ჯგუფი მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც ჯგუფს შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საეჭვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირდება მომავლში მისაღები ან გადასახადელი სავარაუდო ფულადი სახსრები ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებას (ყველა მიღებული, ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილს, გარიგებების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) დისკონტირების ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო სასაარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე, ან (თუ მისაღებია) უფრო მოკლე ვადაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2. ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კავშირმა დასაქმებულისგან.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონონიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ჯგუფში ანარიცხი აღიარდება, როდესაც

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმება წარსული მოვლენის შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშნველობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კავშირი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კავშირის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები.** ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	მიწა*	შენობები*	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ავტომანქანები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება 31.12.2015	**20,084,120**	**2,241,020**	**345,489**	**171,197**	**114,585**	1,369,925	**24,326,336**
შემოსვლა	-	2,142,845	71,460	48,297	55,527	62,882	**2,381,011**
გასვლა	(125,114)**	-	-	(2,189)	-	(1,369,925)	**(1,497,228)**
ისტორიული ღირებულება 31.12.2016	**19,959,006**	**4,383,865**	**416,949**	**217,305**	**170,112**	**62,882**	**25,210,119**
შემოსვლა	-	125,198	163,371	529,762	45,865	-	**864,196**
გასვლა	(634,314)***	-	-		-	(62,882)	**(697,196)**
ისტორიული ღირებულება 31.12.2017	**19,324,692**	**4,509,063**	**580,320**	**747,067**	**215,977**	-	**25,377,119**
დაგროვილი ცვეთა 31.12.2015	-	**(280,760)**	**(117,442)**	**(28,839)**	**(20,756)**	-	**(447,797)**
ცვეთა	-	(54,350)	(69,115)	(34,655)	(14,916)	-	**(173,036)**
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2016	-	**(335,110)**	**(186,557)**	**(63,494)**	**(35,672)**	-	**(620,833)**
ცვეთა	-	(89,180)	(79,283)	(89,181)	(18,438)	-	**(276,082)**
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2017	-	**(424,290)**	**(265,840)**	**(152,675)**	**(54,110)**	-	**(896,915)**
საბალანსო ღირებულება							
საბალანსო ღირებულება 31.12.2016	**19,959,006**	**4,048,755**	**230,392**	**153,811**	**134,440**	**62,882**	**24,589,286**
საბალანსო ღირებულება 31.12.2017	**19,324,692**	**4,084,773**	**314,480**	**594,392**	**161,867**	-	**24,480,204**

*საქართველოს რაგბის კავშირის მიწები და შენობა-ნაგებობების ნაწილი მოიცავს სახელმწიფოსგან უზუფრუქტის და აღნაგობის უფლებით უსასყიდლოდ მიღებულ აქტივებს, რომელთა ღირებულება შეფასებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

კავშირის საკუთრებაში არსებულ და სახელმწიფოსგან უზუფრუქტით და აღნაგობით გადმოცემულ მიწებზე მესამე მხარის მიერ აშენებულია სარაგბო სტადიონები და ინფრასტრუქტურა. აშენებული აქტივები ჯგუფისთვის არ არის გადმოცემული და არ არის აღრიცხული ძირითად საშუალებებში, მაგრამ ჯგუფს აქვს შეუზღუდავი წვდომა ინფრასტრუქტურაზე.

**2016 წელს საქართველოს რაგბის კავშირმა მოახდინა წინა პერიოდებში სახელმწიფოსგან გადმოცემული შეშელიძის ქუჩაზე განთავსებული მიწის რეალიზაცია, საიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 548,240 ლარი.

***საქართველოს რაგბის კავშირმა უსასყიდლოდ გადასცა მის საკუთრებაში არსებული შუამთის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი აიპ სარაგბო კლუბ "ლელოს", საბალანსო ღირებულებით 634,314 ლარი.

კავშირის მიერ მიღებული სესხები უზრუნველყოფილია საოფისე ფართით.

5. არამატერიალური აქტივები

საქართველოს რაგბის კავშირის არამატერიალური აქტივები მოიცავს ვიდეო ანალიზის პროგრამებსა და ლიცენზიებს. მათ უმეტესობას გააჩნიათ განსაზღვრული მომსახურების ვადა 10 წლის ოდენობით, ხოლო ერთს 3 წლის ვადით. ისტორიული ღირებულება 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცვლელია და შეადგენს 425,556 ლარს, ხოლო მათზე დარიცხულმა დაგროვილმა ამორტიზაციამ შესაბამისად შეადგინა 166,631 და 111,568 ლარი.

6. მარაგები

მარაგები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ბურთები	93,832	22,415
სარაგბო ეკიპირება	81,290	57,885
სარაგბო ინვენტარი	9,812	26,677
სუვენირები	-	18,517
სხვა	12,218	4,532
სულ	**197,152**	**130,026**

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2017 და 2016 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
UNDP -ის გრანტი	155,532	211,744
სავაჭრო მოთხოვნები	127,687	130,739
სხვა მოთხოვნები	16,592	31,695
არაფინანსური აქტივები	-	
ანგარიშვალდებულ პირზე გაცემული თანხები	20,420	14,681
გადახდილი ავანსები	753,895	673,898
სულ	**1,074,126**	**1,062,757**

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფული სალაროში	9,525	4,128
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, ლარში	21,892	521,206
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშზე, უცხოურ ვალუტაში	35,882	484,855
სულ	**67,299**	**1,010,189**

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	31.12.2017	31.12.2016
სს თიბისი ბანკი	8%	USD	31-05-2016	10-05-2022	340,360	698,195
გრძელვადიანი სესხები					**340,360**	**698,195**

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	დაწყების თარიღი	დამთავრების თარიღი	31.12.2017	31.12.2016
სს თიბისი ბანკი	8%	USD	31-05-2016	10-05-2022	86,166	85,795
სს თიბისი ბანკი	12%	GEL	3-10-2017	10-10-2018	150,993	-
სს თიბისი ბანკი	9%	GBP	22-12-2017	10-06-2018	859,526	-
მოკლევადიანი სესხები					**1,096,685**	**85,795**
სულ მიღებული სესხები					**1,437,045**	**783,990**

9. მიღებული სესხები (გაგრძელება)

საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულების რეკონსილაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდენაირად:

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**783,990**
მიღებული სესხები	978,247
დარიცხული პროცენტი	42,100
სესხების დაფარვა	(343,131)
გადახდილი პროცენტი	(40,844)
საკურსო სხვაობის ცვლილების გავლენა	16,680
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**1,437,045**

10. გადავადებული შემოსავალი

ჯგუფის გადავადებული შემოსავალი მოიცავს შემდეგს:

- საქართველოს რაგბის კავშირს სახელმწიფოსაგან გამოცემული აქვს უსასყიდლოდ მიწების ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები აღნაგობისა და უზუფრუქტის უფლებით. კავშირმა უნდა განახორციელოს გადმოცემული მიწის ნაკვეთებზე სათამაშო და სავარჯიშო მოედნების მოწყობა შესაბამისის ინფრასტრუქტურით და უზრუნველოს პროფილი მუდმივი შენარჩუნება. აქტივების გადმოცემისას რაგბის კავშირმა შეაფასებინა მიწები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები დამოუკიდებელ აუდიტორს, რომლის ღირებულებამაც 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 9,241,126 ლარი.

- საქართველოს რაგბის კავშირი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან გრანტის სახით იღებს დაფინანსებას. გრანტის მიზანია ქართული რაგბის განვითარების და ზრდისთვის ხელისშეწყობა. აღნიშნულის შესაბამისად აღიარებულმა გადავადებულმა შემოსავალმა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაბამისად შეადგინა 133,908 და 178,544 ლარი.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური ვალდებულებები		
შპს თრეველინ	501,988	-
ეიჩე-რენტალი	149,283	149,283
შპს რაგბის განვითარების ჯგუფი	135,700	-
სს სადაზღვევო კომპანია ალფა	81,904	-
შპს ფუდ მენეჯმენტ გრუპ	44,800	-
შპს თრ თრეველი	41,788	-
შპს Real Estate Development Company	29,162	119,106
World Rugby Limited	-	151,951
სავაჭრო ვალდებულებები	499,139	226,194
სულ ფინანსური ვალდებულებები	**1,563,592**	**646,534**
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	186,918	34,622
სახელფასო ვალდებულებები	66,454	147,837
სხვა	4,700	4,700
სულ არაფინანსური ვალდებულებები	**258,072**	**187,159**
სულ	**1,821,664**	**833,693**

სავაჭრო ვალდებულებების რეალური ღირებულება არ განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

12. შემოსავლები

შემოსავლები 2017 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე და 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
სამინისტროსაგან მიღებული მიზნობრივი დაფინანსება	13,405,290	8,560,459
საერთაშორის ფონდებიგან მიღებული გრანტები	5,448,769	2,988,775
შემოსავლები სპონსოროზიდან	1,623,570	1,290,353
ბილეთების რეალიზაცია	892,510	339,224
სხვა მიზნორივი დაფინანსება	173,559	115,261
შემოსავალი მარტყოფის ბაზიდან	115,810	-
საშეჯიბრო თანხები	95,000	106,750
სარაგბო ინვენტარის რეალიზაცია	48,795	68,224
სალიცენზიო შემოსავალი	29,424	21,182
სხვა	103,850	66,464
სულ	**21,936,577**	**13,556,692**

13. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები 2017 პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე და 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
ტურნირებზე მონაწილეობის ხარჯი	(5,830,239)	(5,927,632)
2017 წლის 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის ხარჯი	(6,834,180)	-
მოთამაშეებისა და დამხმარე პერსონალის პრემია და სხვა ანაზღაურება	(6,931,106)	(5,045,996)
ინვენტარის ხარჯი	(1,213,018)	(582,250)
სამედიცინო ხარჯები	(290,441)	(266,816)
სხვა	(286,046)	(60,807)
სულ	**(21,385,030)**	**(11,883,501)**

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2017 პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე და 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
მომსახურე პერსონალის ხარჯი	(1,466,475)	(1,280,938)
კლუბ "ლელოზე"გადაცემული მიწის ღირებულების ხარჯი *	(634,314)	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(331,146)	(223,163)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(164,318)	(166,577)
საკონსულტაციო მომსახურება	(143,510)	(135,554)
საწვავის ხარჯი	(111,431)	(60,154)
სარეკლამო ხარჯი	(104,334)	(29,842)
მივლინების ხარჯი	(92,302)	-
საკანცელარიო ხარჯი	(80,470)	(23,294)
კომუნიკაციის ხარჯი	(52,654)	(33,841)
საქველმოქმედო ხარჯი	(37,103)	(77,673)
იჯარის ხარჯი	(34,147)	(49,480)
ავტომობილის შეკეთების ხარჯი	(19,673)	(10,863)
კომუნალური ხარჯი	(15,792)	(4,447)
დაზღვევის ხარჯი	(6,428)	(14,103)
საბანკო მომსახურების ხარჯი	(6,340)	(6,045)
მოთხოვნების ჩამოწერა ხარჯებში	-	(19,357)
სხვა ხარჯი	(145,815)	(87,968)
სულ	**(3,446,252)**	**(2,223,299)**

10 - 27 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

15. ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი, ნეტო

საპროცენტო შემოსავალი, ნეტო 2017 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე და 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
საპროცენტო ხარჯი	(42,100)	(38,885)
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანგარიშზე	5,933	9,398
სულ	**(36,167)**	**(29,487)**

16. წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება (ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2017 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე და 2016 წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრამდე საანგარიშო პერიოდებისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
რეალიზებული საკურსო სხვაობა	(22,738)	(57,905)
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(104,023)	(809,081)
სულ	**(126,761)**	**(866,986)**

17. ფინანსური ინსტრუმენტები – რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში ჯგუფი დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
  - სავალუტო რისკი
  - საპროცენტო რისკი

ჯგუფი დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კავშირის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური ანგარიშგების სხვადასხვა ნაწილში.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კავშირის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	299,811	374,178
ფული საბანკო ანგარიშებზე	57,774	1,006,061
სულ	**357,585**	**1,380,239**

17. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კავშირი ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კავშირის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მოიცავს 1 წლამდე აქტივებს და ვალდებულებებს.

წმინდა ლიკვიდურობის ანალიზი 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2017	31.12.2016
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	67,299	1,010,189
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	299,811	374,178
სულ ფინანსური აქტივები	367,110	1,384,367
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,563,592	646,534
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,563,592	646,534
(დეფიციტი)/პროფიციტი	(1,196,482)	737,833

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყეველებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი).

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყეველებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო.

სავალუტო რისკის ანალიზი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	ჯამი
		აშშ დოლარი 1 = 2.5902 ლარი	ევრო 1 = 3.1129 ლარი	გირვანქა სტერლინგი 1 = 3.5005 ლარი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	59,079	14	1,977	6,229	67,299
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	144,279	155,532	-	-	299,811
სულ ფინანსური აქტივები	203,358	155,546	1,977	6,229	367,110
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,454,602	29,162	79,828	-	1,563,592
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,454,602	29,162	79,828	-	789,705
ღია სავალუტო პოზიცია	(1,251,244)	126,384	(77,851)	6,229	

17. ფინანსური ინსტრუმენტები-რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ანალიზი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი	ჯამი
		აშშ დოლარი 1 = 2.6468 ლარი	ევრო 1 = 2.7940 ლარი	გირვანქა სტერლინგი 1 = 3.2579 ლარი	
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	525,334	12,110	3,951	468,794	1,010,189
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	162,434	211,744	-	-	374,178
სულ ფინანსური აქტივები	687,768	223,854	3,951	468,794	1,384,367
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	375,477	119,106	-	151,951	646,534
სულ ფინანსური ვალდებულებები	375,477	119,106	-	151,951	789,705
ღია სავალუტო პოზიცია	312,291	104,748	3,951	316,843	

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას აშშ დოლარის, ევროს და დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას მენეჯმენტის მიერ.

31.12.2017	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი		ფუნტის ეფექტი	
	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ 20%	ლარი/ ფუნტი 20%	ლარი/ ფუნტი 20%
მოგება/(ზარალი)	25,277	(25,277)	(15,570)	15,570	1,246	(1,246)

31.12.2016	დოლარის ეფექტი		ევროს ეფექტი		ფუნტის ეფექტი	
	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ დოლარი 20%	ლარი/ ევრო 20%	ლარი/ 20%	ლარი/ ფუნტი 20%	ლარი/ ფუნტი 20%
მოგება/(ზარალი)	20,950	(20,950)	790	(790)	63,369	(63,369)

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე.

ჯგუფს არ გააჩნია საპროცენტო რისკი, რადგან არ ფლობს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს.

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ თანახმად, დაკავშირებულ მხარეებს შეიძლება წარმოადგენდეს:

ა) მხარე პირდაპირ ან ერთი ან რამდენიმე შუალედური რგოლის საშუალებით არაპირადაპირ აკონტროლებს კომპანიას, კონტროლდება კომპანიის მიერ ან იმყოფება ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ კომპანიებს) კომპანიაში ისეთი ოდენობის წილის მფლობელია რომ შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოპოვება მასზე.

ბ) მხარე არის კომპანიის ან მისი მფლობელის უმაღლესი მმართველი პირი;

გ) მხარე არის (ა) ან (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტში გათვალისწინებულ რომელიმე პირს ან, რომელშიც მნიშვნელოვანი გავლენის უფლებით პირდაპირ ან არაპირადპირ სარგებლობენ ეს პირები.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2017	2016
შრომის ანაზღაურება	(75,129)	(68,750)

19. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ჯგუფის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ჯგუფს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ჯგუფს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ჯგუფის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს.